შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

2012 წლის ანგარიში

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) თავის საქმიანობას ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის, უნივერსიტეტის დებულების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2012 წელს წარიმართა შემდეგი მიმართულებებით:

წლის განმავლობაში ტარდებოდა სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შიდა საუნივერსიტეტო მონიტორინგი;

განხორციელდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;

გაკეთდა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების, სწავლების შემდეგ საფეხურზე ჩარიცხულ კურსდამთავრებულთა მაჩვენებლების ანალიზი;

გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრების დაწყების წინ გადამოწმდა უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდის და სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობა;

გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა. შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი: საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის შესაბამისი ინვენტარი, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და სხვ;

ჩატარდა სასწავლო პროცესის, ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს და რესურსების, სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის და სხვ. კვლევის მიზნით სტუდენტების ინტერვიუირება;

გაიმართა შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან კმაყოფილების კვლევის კუთხით;

შეფასდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი აქტივობა;

ჩატარებული შემოწმებების, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინტერვიუირების შედეგების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში.

მომზადდა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაიგზავნა საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშები და უნივერსიტეტის ავტორიზაციის ყოველწლიური თვითშეფასების წლიური ანგარიში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა 2012 წელს გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრებში უნივერსიტეტში მობილობის მსურველთა კრედიტების აღიარების პროცედურებში.

2012 წელს სააკრედიტაციოდ მომზადდა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარედგინა:

- ✓ საბაკალავრო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგიები“
- ✓ სამაგისტრო პროგრამა „სამართალი“

2012 წელს აკრედიტაცია მიიღო შემდეგმა საგანმანათლებლო პროგრამებმა:

- ✓ საბაკალავრო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგიები“
- ✓ სამაგისტრო პროგრამა „სამართალი“